ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №-13

2011 წლის 25 თებერვალი
ქ. ქობულეთი

"ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 210-ე, 211-ე მუხლების, 213-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებისა და საბიუჯეტო კოდექსის 88-ე მუხლის შესაბამისად:

1. „ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ" ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის პროექტის თაობაზე დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება.
2. განსახილველ საკითხთა მიმართებაში საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისია (ჯ. ჯინჭარაძე)
3. განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვროს 2011 წლის 18 მარტი.
4. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა (ს. მოწყობილი) უზრუნველყოს განკარგულების ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ. გვერდზე განთავსება.
5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ნ. ბერაძე**